სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 1 მაისის #99/01/01 ბრძანების საფუძველზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის №142/2018 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი #1

ქ. თბილისი **29 ივნისი 2018**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 1 მაისის #99/01/01 ბრძანებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტში, ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგიისა და ნიადაგების გეოგრაფიის კათედრების, პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის შემოვიდა ორი განაცხადი. თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის №142/2018 დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას. კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად.

კომისიის შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

1. გივი გავარდაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნოდარ ელიზბარაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ლამზირა ლაღიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ნანა ბოლაშვილი - თსუ-ს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი;
5. ზურაბ ჯანელიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი;
6. მაია მელაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგიის კათედრაზე, პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ნიადაგების გეოგრაფიის კათედრაზე, პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის გივი გავარდაშვილის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითო-ეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის I ეტაპზე შემოწმდა და შეფასდა საკონკურსო დოკუმენტაცია ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლო-გიის კათედრის კონკურსანტის **დავით კერესელიძისა** და ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის კონკურსანტის **ლია მაჭავარიანის** მიერ წარმოდგენილ ანკეტებში მოცემული ინფორმაციის საფუძვლეზე, კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი N4).

1. ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგიის კათედრის კონკურსანტის **დავით კერესელიძის** შეფასება:

კონკურსის I ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი №4).

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".

შეფასების II კატეგორიაში "პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მოცემული მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკით-ხული კურსები, ტრენინგები, სასწავლო-მეთოდური პუბლიკაციები, სილაბუსები და სხვ.) კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

შეფასების III კატეგორიაში "სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა" წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, საერთაშორისო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალში და კომისიის მიერ შეფასდა როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას მიმართუ-ლების განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში,

გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა და თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დონეზე.

შეფასების IV კატეგორიაში "კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა" და "დამატებითი ინფორმაცია" მოცემული ჩამონათვალის საფუძველზე, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროგრამების (სამაგისტრო, სადოქტორო) ხელმძღვანელობა; მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე ხელმძღვანელობა; დარგობრივი საბჭოების, საზოგადოებებისა და კომისიების წევრობა; უცხო ენების ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების ფლობა; სარედაქციო საქმიანობა და საორგანიზაციო სამეცნიერო კომიტეტების წევრობა და მრავალი სხვა, კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

2. ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის კონკურსანტის **ლია მაჭავარიანის** შეფასება:

კონკურსის I ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი №4).

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".

შეფასების II კატეგორიაში "პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მოცემული მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკითხული კურსები, ტრენინგები, სასწავლო-მეთოდური პუბლიკაციები, სილაბუსები და სხვ.), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

შეფასების III კატეგორიაში "სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა" წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისა და სხვა საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობა, საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალში, კომისიის მიერ შეფასდა როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას მიმართულების განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა და თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში საბაკალავრო, სამაგისტრო და

სადოქტორო პროგრამების დონეზე.

შეფასების IV კატეგორიაში "კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა" და "დამატებითი ინფორმაცია" მოცემული ჩამონათვალის საფუძველზე, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ხელმძღვანელობა; მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე ხელმძღვანელობა; დარგობრივი საბჭოების, საზოგადოებებისა და კომისიების წევრობა; უცხო ენების ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების ფლობა; სარედაქციო საქმიანობა და საორგანიზაციო სამეცნიერო კომიტეტების წევრობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე და მრავალი სხვა, კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

3. გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ ორივე პრეტენდენტი, სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და ღირსეული კანდიდატურებია თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგიის კათედრაზე და ნიადაგების გეოგრაფიის კათედრაზე პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგების მიხედვით კომისიის ექვსივე წევრმა მხარი დაუჭირა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე **დავით კერესელიძის,** ხოლო ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე **ლია მაჭავარიანის** კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას.

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოგრაფიის დეპარტამენტის, ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგიის (1ადგილი) და ნიადაგების გეოგრაფიის (1 ადგილი) კათედრებზე პროფესორის 2 ვაკანტურ თანამდებობაზე, სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის I და II ეტაპის შეჯამებით და ფარული კენჭისყრის ბიულეტინების დათვლის შედეგად (6 ხმა დადებითი, წინააღმდეგი 0), გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატები:

გეოგრაფიის დეპარტამენტი:

კათედრა - ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგია:
დავით კერესელიძე (პროფესორი)

კათედრა - ნიადაგების გეოგრაფია:
ლია მაჭავარიანი (პროფესორი)

კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ და გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის წევრები:

1. გივი გავარდაშვილი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ნოდარ ელიზბარაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლამზირა ლაღიძე (კომისიის მდივანი)
4. ნანა ბოლაშვილი (კომისიის წევრი)
5. ზურაბ ჯანელიძე (კომისიის წევრი)
6. მაია მელაძე (კომისიის წევრი)